ვიდექ მარტივა მაღალ მწვერვალზე და დავცერილი ჩემს მშობელ მხარეს; ბურუსით იყო იგი მოცული, თალხი ქმნიდა მთელ არე— მარეს.

ირგვლივ ქვითინი, კვნესა, ვოდება, აღარ ისმოდა სტევნა ბულბულის, აღარც გალობა შაშვის, კაკაბის არც მელოდია ძველი ურმულის.

აღარსად სჩანდა შველი, ირემი, ჯიხვი, ჯერანი, არც იაღონი; დაობლებულად იღვნენ ტაძრები შუამთისა და წმინდა ათონი.

გლოვის ზარს რეკდა ძველი ღითება, ზედით მთაწმინდა და ძირს სიონი, მიჰქითინებდებ მტკვარი— ალაზანი, მათ ცრუმლთ თორქევედა კავკასიონი.

ზღვა მქუხარებდა, ზეცა გრგვინავდა, სასხლით გასკრილი იყო ხმელეთი, მზეც გამქრალიყო და ბარი მთვარეც, გამფებული იყო ბენელეთი.

ვერ გაუტელი შემზარევ სურათს, შემლი, შემეცრა, გული მეტკინა; გამომედვიძა, სინაწულისგან ქარჩე ცრუმლები გაღმომედონა.

დ. ქიმერიძე.

კვლავ მენატრება შავი კლდეები...

საღაც მოინარის ურჩი დრინება
გალიპული კლდებს მეტჯინება;
საც მთით მოხეოქილ სტიქის ნება
შავი ლოდების ქვეშ იღუნება;
საღაც ბუნების მთლად უკელაფერი
შავი ქვის მღერით არის ნაფერი,
საღაც სიცხე, სუსხი, ქარი, ნამჭერი
იმერთა ქვეყნის არის, საფერი,—
თურმე იქ უწინ იყო უკლები,
მას კურ ატანდენ შექრის ურმები,
უღაბნოდ მდგარა ნივგზის ხეები
შიდ ბინადრობდა შავი ურჩები.
გზად გამვლელ ყარიბს გაუცინა,
მცინარისათვის დაუკრია:
„ეს რა წყალია ჭია თუ რა!?
და წარმოიშვა იქ ჭიათურა...
ზემდევ მოსულა ახალი ხანა
ძევლმა მიწებმა აღარ იყანა,
მიწის ზელაპირს ხედა არადანა.
მისა სიღრმილან მოდის მარანა...
მოდის მარანის შავი ღაღარი,
ქვეყნის სიმირიტრე—ოქრის საღარი...
და ამ მურასნ შავი ქვის ქალაქს
ჩემი ბავშვობის ზღაპარი ახლავს.
აქ კუველ ხეს თუ გატეხილ ახოს
ჩემს წინაპრებზედ ლეგნდა ახსოებს.
აქ ვეზიარე შოთას, აყავის,
ავხსენი აშრი იგაფარაკის,
და შევიყვარე ბეღით დევნილი
მერანზე მჯდომი ბარსთაშეოლი...
დღეს ჭაბუკობის მხურვალე წლები,
როს უცხოეთის კის ქვეშ მძიმდება,
კელავ მენატრება შავი კლდეები;
მსურს დედის მკერდზედ ავითინება.
მსურს კვლავ ფეხშეფლამ შემოვირდინო
ეზო, ვენახი, მთის კორტოხები,
მწყემსებს დავეცე, როგორც მიმინ
მინდვრიად გავთონტო მათი ძროხები.
იქ რიც-ტაფელა დავატრისლოთ,
ან საყობა გავმართოთ ქვებით,
ჯოხის ხანჯლები ავატრისალოთ,
„მტერს“ გამოუდგეთ ჯოხის მეტნებით.
მინდვრად დაკრეფილ ყვავილთა კონის
კრძალვით მივართმევ მეზობლის თინას,
ჩემი ბავშვობის ქრის-იზოლდის,
შველის ნუკრიფით მინდონიში მძინარს.

და სინიკორც წინად, ოცი წლის წინად,
კის ჩირალიშები როცა აინთოს,
აგუ ზეუზებულ ბუქრისა პირად
დედის კალთაში კვლავ ჩამეძინოს...

ზურდული

პარიზი 15-1-47 წლი.

ი გ ვ დ ი

არა, არ მინდა დამეუფლოს უიმედობა,
ცერას დამაკლებს უცხოეთის მცენარე ქოლის;
არც მინდა დაქჩის ჩემი ლექსი მთვრალის
ყბედობად,
არ მინდა ვთქვა, რომ მეგობარი არა მყოლია.

არც ის იფიქროთ, მომავალი აღარ მენტობა;
მე ძლიერი ვარ, კუნთიანი, მაგარ - ძვლინი..
ჩემთან ბრძოლაში დამარტინებულია
და... გამარჯვებს მეოსანი და აღამინი.

ა. ღ.

პარიზი. 9/11. 43.

გულჯრელი სალაში!

ვინც აფასებს ბეჭედითი სიტყვის მნიშვნელობას, ვისაც თავისუფალი აზრის გამოთქმის საშეალება-პიროვნების ერთ-ერთ თავისუფლების გამოხატველად მაჩნია, ის, დარწმუნებული კარი ჩემსავით აღტაცებით მიიღებდა იმ განცხადებას, რომელიც მწერალთა კავშირის სახელით. ბ. ვიორი ყიფინმა გააჟერთა 4 იანვარს ბ. გრიშა ურატაძის მოსსენებაზე, ახალი ორგანოს შექმნის შესახებ.

1939 წლიდან ქრონული ემიგრაცია ამ საშვალებას მოკლებული იყო, მოკლებული იყო სწორედ იმ დროს, როცესაც ეს ამაში ყველაზე უფრო საჭიროებდა. ასეთი იმპერატორი არ არსებობამ, ბევრი, მეტად ბევრი, უსიამოებულია მოგვაყენა, განსაკუთრებით ლიბერაციის ხანაში...

ომის მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობაშ შეუქმნა ჩივირიცის ისეთი ატმოსფერია, საღაც სუნთქვაც კი ზეუძლებელი გახთა... ფრანგულ პრესაში, თუ იჯახებში, ჰქონდა ადგილი, ჩვენთვის მეტად საზარალო გამოსულებს, უმთავრესად არსებულ ფაქტებზე დამსარებულთ, რომ მდებითაც ჩვენიდამი ცულათ თუ მტრულათ განწყობილი, დიდათ სარგებლობდენ ქართული

ემიგრაციის ჩასაწინალუბად. ამ დროს ჩვენი სიჩუ
მე მტრების სასარვებლოთ ლაპარაკობდა, ხო-
ლო საჯაროთ ხმის ამოღების საშეაღებას მო-
კლებული ვიყავით.... ქართული ორგანის შე-
მნით, ენა გვეხსნება, რათა მტრებს პასუხი გა-
სცემა და მოყენებს, ჩვენი მდგომარეობის შე
საფერი გზა უჩვენოთ... როგორც განცხადებაში
იყო ნათევები, ეს ორგანო უპარტიო იქნება. ჩე-
მის აზრით, ის მთლიანდ თავისუფალი ტრიბუ-
ნის სახის უნდა მოგვცელონოს. ემიგრაციაში ყვე-
ლას უნდა ექნეს საშეაღება თავისუფალად გამო
სცემის თავისი აზრი, კრიტიკა უნდა იქნეს გუ-
ლტრფელი, საზოგადო და პრა პირადი ინტერე-
სებიდან გამომდინარე... დღევანდელი ხანა არის
უაღრესად მდიდარი მოვლენებით... ამ უკანა-
სკელ ცხრა წლის განმავლობაში კაცობრიობაში
განიცადა უდიდესი შერყევები: სოციალურ პო-
ლიტიკურ და ეკონომიკური ხსიათის, ძველი ჩა-
რჩები, ცხოვრების ამ სფეროთა გამომხატვე-
ლი, დასკდა, აქციან დიდი კრიზისი. ძველის შე-
კეთება ძნელი ხთება, ახლის ჩამოყალიბება არც
ისე ძლიერი შეიქმნა... ამ ომშა, რომელმაც
შთანთქა უამრავი სიცოცხლე და ათას წლობით
დაგროვილი ნივთიერი და მორიალური სიმდიდ-
რე-თითქოს კომპენსაციის სახით მოვცივლინა
ატომიური ენერგია, რომლის მშვიდობიანი
გზით გამოყენება ძირ-ბუღალტა შეანბრევს, და
დებიტი შედეგების მხრით, ადამიანის ეკონომი-
ურ ცხოვრებას! ქმითა, ფიზიკა და საერთოდ მა-
თემატიკა ისეთი ნაბიჯით ვითარდება, რომ ახ-
ლო მომავალში განსაკუთრებულ აღმოჩენებს
ექნება ადგილი. ასე რომ დღეგანდელ ხანას შედ-
გვიძლია თამაშიდ უწუთადოთ უდიდეს-გარდაჭ-
მნათა ეპოქა ეკონომიკურ თა აღეოლოგიურ სფე-
როში!.. 1914 წლის ომი იყო შედეგი სოციალ-
ურ უთანმშებათა დაგრევების, რომელთა ამო
წუთევას ამ ომით დამობდენ, რა თქმა უნდა, ეს
უთანმშებანი, არ თუ ამოწურა 1914 წ. ომშა,
არამედ გაცილებით უფრო მეტი დაგრევა-რა-
მაც 1939 წ. ომი მოვცივლინა. უწინ თუ პოლი-
ტიკურ და ეკონომიკურ წონასწორობის დანგრე-
ვა იწვევდა საერთაშორის კონფლიკტაციებს,
დღეს ამას იღეოლოგიური სხვადასხვაობაც მიიღ-
მატა. განსხვავება არსებოւლ ეკონომიკურ სისტე-
მათა შორის იწვევს იდეოლოგიურ განსხვავებ-
ას. ამ თუ ეკონომიკურ სისტემასთან დაკავშირე-
ბული იდეოლოგიათა შეთანხმება-შექრება შე-
უძლებელი ხთება-ეს შეურიგებრობა კაცობრი-
ობას კარგს არ უქმდის... როგორც ეროვნულ,

ისე საერთაშორისო მაშტაბში, არის ძებნა, კაც
ბრიობის გადამრჩენი გზის.. ორ მოწინაღმდევე
ბლოკთა ჩამოყალიბება უკვე ფაქტის დღეს. ამ
ორ, ერთი შეირის წინააღმდევ ღარიზმულ ძა-
ლთა ნეიტრალიზაციას ლამობენ იმ მესამე ძა-
ლის წარმოშობით, რომელზეთაც დღეს ბეჭრის
ლაპარაკობენ. ვისურვოთ ეს მესამე ძალა ჯერ-
ჯერობით სუსტი, მაგრამ ერთ-ერთი იმედი, მარ
თლა გამხდარიყვეს ჩვენი იმედის გამმართლებე
ლი ძლიერი ფაქტორი.

მსოფლიოს ასეთ მდგომარეობაში როგორი
უნდა იყვეს ჩვენი, ქართული ემიგრაციის აზრო-
ვნება თუ მოქმედება? ჩვენი დამოკიდებულება
პირიდან ნაკარნასევია ნამდვილად შეგნებულ
ჩვენი მდგომარეობიდან. ჩვენ არაფრით არ წარ-
მოგადგინთ იმ ძალას, რომლითაც შესაძლებელი
იყვეს გადაეცნონთ იქნით თუ აქეთ სასწორი
ორი ბლოკის სახით. აქედან დასკვნა: უწინარეს
ყოვლისა ულრემსი პატივისცემა და თანაგრძნო
ბა იმ ქვეყნისადმი, რომელმაც ამ 25 წლის გა-
ნმავლობაში შეძლების და გვარად დაგვიცო და
მოვარა... თვალ-ყურის დევნა და გარკვევა სა
ერთაშორისო მდგომარეობაში და შევლენათა
მიხედვით დასკვნების გაკეთება ჩვენი მოქმედე
ბის სახელმძღვანელოდ. ზრუნვა და ფაქტი იმ
უმთავრეს საკითხზე, რაც წარმოადგინს ემიგრა-
ციის უცხოეთში ყოფილი უმთავრეს საესანს, ე. ი.
სამშობლოზე. აქ უნდა ავლინიშნო, რომ სამშო-
ბლო არ არის მარტო გაფიქრაფიული შემეტე-
ბა: ის არის-უმთავრესად, ისტორია, ლიტერატუ-
რა, ტრადიციები და საერთოდ, ათას წლობითი
გამოშევილი ერის სული... პირველს თუ შოკ-
ლებული გართ-მეორე უნდა დაგვიცო, ამის-
თვის შესაძლებელი იქნება ემიგრაციის ასტებობის
პირობებში! ამ მისტრატებათა განხორციელება-
ში ითვალისწინებული ხელს ბეჭრით ისტანცია,
რომლის დარსებასაც სულით და გულით ვესა-
ლმები. ხშირიდ ერთი მეტრიდან, ასე კსოვებთ,
ფიზიკურად დაშორებული, ეს ორგანო დაგვა-
კაშირების: აზრთა-გაცვლა გამოცვლა მორალ-
ურ და ფსიოლოგიურ დაუნიჩებას უვაშორებს
და სულიერ მთლიანობის გზაზე შეგვაეყნებს,
რაც დღეს, საუბრებულოთ, ასე გვაკლია და რაც
ჩვენს დაქაჭაჭას და გადაგვარებას ხელს უწყ-
ობს. უსურეცდება ამ თორგანოს ხანგრძლიობასთან
ერთად ჩვენი აღღენებისა და წარმატების მება-
ირახტრედ გამომდგარიყვეს...

გიგლიოზჩიული ჟანრი

V. A. KRAVTCHEKO.
«J'AI CHOISI LA LIBERTE» (638 pp.).

კრატერატურა სიბჭოთა რესერვის შესახებ საკუმარისათ მდიდარია. დაცემილია და გამოკვეწებული აუარებელი რიცხვი წიგნების, ბრო შეუძების, საგაზეთო წერილების და მიმოსილების სხვადასხვა უანის, სხვადასხვა კომპოზიციის, სხვადასხვა გაშუქების და სხვადასხვა მიღვიმის სხვადასხვა ენებზე; მაგრამ ყველა ისინი გერმენებათ მკრთალათ, ცალმხრივათ, ზერელეთ, ზედმიწევნით სუსტათ, როდესაც წაიკითხავთ და მეტადარებოთ მათ კრავჩენკოს წიგნს, და ეს მოუხდავათ იმისა, რომ ბევრი მათგანი დაწერილია ცნობილ და გამოჩნილ მწერლის მიერ, რომლებმაც იციან ყველა ლიტერატურული წესები და ხერიხი მკითხველმის ინტერესის გასაღევებლათ, გასაძლიერებლათ და გასაღრმავებლათ, კოსტულობით მათ და გახსენდებათ შედრინის მელანქოლიური ახლობა: «Писатель пописывает, читатель почитывает!... კითხულობს მკითხველი და ამოქნარებს.

კრავჩენკოს წიგნის წაკითხვა გულგრილათ შეუძლებელია, მიუხედავათ იმისა, რომ წიგნი ღამერილია კაცის მიერ, რომელსაც კალაში შეიძლება არსეს დროს, არ აულის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იძულებული იყო ის აეღო, როგორც ინუინერს, რითა წარედგინა სინეინერო პროექტები და ანგარიშები. არ ფიქრობს ის, არც სტრილის გარეგნულ სილამაზეზე, არც ვასტეგნულ ეფექტის მოხდენაზე, არ ექცებს ის არც ღამაზი სიტყვებს, არც გარმონიულ მაღალ ფერადოვან ფრაზებს.

რაშია განსხვავება კრავჩენკოს წიგნის და სხვათა ნაწერების შორის? სხვები, ისინიც ვრც ბოლშევკურ სინამდვილეს ატარებენ სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში, აგვიწერენ ბოლშევიკური სინამდვილის ზედაპირს, რაც დასახსია შორის მაყურებლისათვის, სქემატიურათ, ხანდახან დოკტორინალურათ და, თუ გნებათ, შაბდლინიურათ და თქვენ გრძნობთ, რომ მათ სურათებს და სქემებს რაღაც აკლია მაშინაც, როდესაც ისინი აგვიწერენ, რა ჯოჯოსხეთურ პირობებში ცხოვრის აღამიანი ბოლშევიკულ სამეფოში. ერთი სიტყვით: «Писатель пишет, читатель почитывает!».

კრავჩენკოს წიგნის წაკითხვა გულგრილათ

შეუძლებელია. ის აგვიწერს თავის პირად ცხრა კრებას, მოვათხრობს მის პირად ავტობიოგრაფიას, მის პირად ისტორიას, რომელიც არის იმ-სვე დროს ისტორია სხვა მილიონების და ათასულ მილიონების. ის არ ამზობს თითქმის არსებობს ისეთი, რაც ჩვენ არ წაგვეითხოს, ან არ გაგვი-გონის, მაგრამ აგვიწერს ისეთის გულშრევლობით, ისეთი დამაჯერებლობით, ისე უბრალოს, ისე სადათ, ისე დეტალურს და იმავე დროს ისეთი საცავის სირემით და ძლიერი გრძნობით, ისეთი ბუნებრივი დრამატიზმით, მიუხედავათ იმისა, რომ დრამატიულ ეფექტს ის არ ექცეს, და თქვენ წინ იშლება უბრალო მოთხოვნილი ისეთი საშინელი დრამა, რომ ურუანტელი გივლით ტანში.

არცერთ დრამატულების ფანტაზიას, თუ გნებავთ ისეთი გაქანებისა როგორც სოფოკლეს ან შექსინის, არ მოუკით თავიანთ დრამებში და ტრაგედიებში ისეთი დრამატიული სიტუაციები, რომელიც შეედრებოდეს თავის სიძლიერით და საშინელებით ყოველ დღიურს დრამას, რომელსაც განიციდის მუდამ, პერმანენტულათ აღამიანი, რომელსაც უწოდებენ საბჭოთა მოქალაქეს.

და ეს „მოქალაქე“ დგას თქვენ თვალ წინ გატყაული, ყოველ აღამიანურ უფლებებს აყრილი, დამშეული, ვალასული, ყოველ აღამიანურ ლირსება წართმეული, წვალებული ჩეკაში, ენგაზე დებში, რაც იგივე ჩეკა, ჯაშუშებით გარშემორტყმული, რომელებიც უდარაჯებენ არა მარტო მის სიტყვებს, არამედ მის სიჩრმესაც, მის ეტატეს, მის სახის ესმომეტყველებას, მის ხმის ინტონაციას, მის მიხერავასაც კი. დგას ის საბრალო, უმწეო, სასოწარკვეთოს, უძლეური, უპატრიონო, ნუგებ დაკარგული და ისიც არ ძალუბს, რომ დაიყვიროს: „მიშველეთ!“, რადგანაც მისჯალი აქვს სიჩრმე, ტრანსი, სიკვდილი და მონობა. და ეს მონობა, რომელიც აღამიანს უკრავს პირს და უხრიობს ხმას, ყოველ სხვა მონობაზე უსაში ნელები და უსაძაგლებია.

წიგნის წაკითხვებს შემდეგ უმაღებათ კითხვა: იყო ისეთი უპოე საერთაშორისო ისტორიაში, როდესაც აღამიანი ყოფილიყოს ისე დამცარებული, ფეხშვეზ გათელილი და ღისება წართმებული, როგორც „საბჭოთა სოციალისტური ჩეკა-პუბლიკათ“ კაშირში? არც ძეველ ეგვიპტეში, არც ასურეთში, არც საშუალო საუკუნეებში, არც ერთ სხვა დროს, არც არსად სხვაგან არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა.

შეუძლებელი იყო ეს პრეისტორიულ ხანაშიც,

როდესაც პირველყოფილი აღმამიანი ცხოვრის-
ბრდა გამოქვეაბულში და დაგიოდა ნახევრათ ტი-
ტველი, შეიარაღებული მარტო ქვით. შეუძლე-
ბელი იყო ეს იმ ხანაშიც, როდესაც აღმამიანი
ოთხ ფეხზე დაგიოდა და იწყებდა მხოლოთ თრ-
იფეზე სიარულის ვარჯიშობას. დუუნგლებში,
უღრან ტკებში, საღაც უფრო რონიერი ცხოვე
ლი სჭამს უფრო სუსტს, ცხოველები უფრო, ასე
ესთქვათ, ჰუმანიურ პირობებში ცხოვრობდნ, ვი-
დრე საბჭოთა „მოქალაქე“ საბჭოთა დუუნგლე-
ბში, რადგანაც ჭამენ ერთმანეთს გულ ახდი-
ლათ, პირდაპირ, უფარისეულოთ, სწრაფათ და,
ასე ესთქვათ, რაინდულათ.

ბოლშევკიუბმა შექმნეს უსაშინელესი, ურთეუ-
ლესი, უფარისეულების, უულმობელესი და უფა-
რიკების სისტემა ბატონობის, რომელიც რამ
დაემსამე ტირანის მოუქცევისა თავის ხალხისათვის.

ასეთ დასკვნას აეფთებათ ძალა უნებურათ კრა-
ვჩნდება მიერ თავის ცხოვრების აღწერილან.

არაფითარ ფანტაზიას არც ერთ მწერლისა,
იმის შემდეგ, რაც მწერლობა არსებობს, არც
ერთ ფანტაზის გაქანებას და აღირისხსნილობ-
ას, არცერთ პოეტურ გადაჭაბბებას და აღმა-
ფრენას, არ შეუმჯნა ისეთი სურათი საშინელე-
ბის, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა ყოველ
დღიური სინამდივილე, ყოველ დღიური პრიზა,
აწერილი კრავჩენ კოს მიერ. თეოთ დანტეს „ჯო-
ჯოხეთია“ გეჩენებათ მშეიღობიან ითილიათ შე-
დარებით იმ სამოთხესთან, საღაც ასეთი დაუი-
ნებით გვირჩევნ შესვლის სხვადასხვა მხრიდან.

ყველა მჩხველთათვის, ავტოთვე მათზედაც,
ვისზედაც ეს რჩევა ერთნაირ გავლენას ახდენს,
არ იქნება ღიღ ინტერესს და სარგებლობას მოკ-
ლებული კრავჩენ კოს წიგნის ყურადღებით წაკი
თხვა.

3. ბ.

გამოქვეულის ნააგოგი

ეს გამოქული არის სომები. ის წავიდა სი-
რიიდან სხვებთან ერთად საბჭოთა სომხეთში,
რამდენიმე თვის შემდეგ გამოქული იქნიდან და
გვიმდინ შემდეგი:

სირისში ჩამოვარდა საბჭოთა სომხეთიდგან კო
მისია. კომისიის წევრები ყველა სომხები იყო,
მათ ზორის ერთი ლერტერია. ესენი აწარმოებ-
დნენ პროცესანდას სირიის სომხებთა შორის სა-
ბჭოთა სომხეთში დასაბრუნებლათ. პირდებო-

დენ ყველას ბინებს და სამუშაოს ხელობის ყვე-
ლა დარჩეში. ურჩევდენ დაბრუნებას აგრეთვე
აქურ მღვდლებსაც, რომელთაც არწმუნებდნ
რომ იქ სრულიათ თავისუფლად შეეძლიერა წი-
რვა-ლოცვა. მრავალ სომებთან ერთად ქრისმა
ტერტერამაც გადასწყვიტა დაბრუნება. დანი-
შნულ დღეს ჩვენი ბარები-ბარხნით ჩაჯვეჭით
გემში და გაესწიეთ სტამბოლისაკენ. სტამბო-
ლში რატომდაც გადასვლის ნება არ მოვდეს
და გაქციეთ პირდაპირ ბათუმისაკენ. გზაში ჩა-
მოსული კომისიის წევრმა ტერტერამ ანაფორა
გაიხადა და როგორც სხვა მოქალაქენი ისე ჩა-
იცვა, რაც ბევრ ჩვენგანს ძალიან გაუკვირდა და
არ მოეწონა. ბათუმში ველოცით შეხვედრას,
მარა არავინ შეგვხდა, რამაც კისტებ უც-
რო დაგვალონა. ოვით ბათუმის სიმშვე-
ნიერებ ყველანი აღტაცებაში მოგვიყვნა. ბათუმიდან ქრთი მატარებლით გაგვამგზა-
ვრეს ჩვენ, მერობეთი-ჩვენი ბარგი. გზადაგზა, სა-
დაც მატარებელი ჩერტფობოდა, ძალიან გაგვიყი-
რებდა ხალხის ცივი შეხვედრა. როცა ამის შე-
სახებ შევეკითხეთ ოჯიურალურ თანმხლებლებს,
იმათ გვიპასხეს: თქვენ ამას ყურადღებას ნუ აქ
ცეკვა, ჩვენ ვიმუოფებით საქართველოს ტერიტო-
რიაზე და ქართველებს სომხები მაინც დამაინც
არ უყავათო. როცა გადავედით სომხეთის ტე-
რიტორიაზე-ჩვენს მატარებელს არც იქ გამო-
უწევია ს ენტზიაზმი, ჩომელსაც ველოცით.
როცა ერევანში ჩავედით თავისუფალი კონტა-
ქტი ხალხთან ვერც იქ აღვადგინოთ, ყველა უ-
დობლობის თვალით გვიყურებდა. ერევანში და
გვაბინავეს ერთად, მეტაც შევიწროებულათ
და თან ბოდიში მოხალეს-მიწების ნაკლებობა
გვაქვსო. აქ მიგვიყვანეს ყველა სამუშაო ძალის
გამანაწილებელ „პონგტში“. ანაწილებდნ ხელ-
ბის მიხედვით სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა
ადგილას. ერთი ნაწილი გაგზავნეს ქვის სატე-
მალაროებში—თქვენ სახლები გჭირდებათ და სა-
ხლებს კი ქვა სჭირდებათ. შეეკითხენ ტერტერა-
საც შენ რა ხელობა იციო. ტერტერამ უპასუხა
რომ ის არის მღვდლელი და ვალესიერიც ხომ აქ-
აც არის და იქ ვილოცავო. ლოცვა ღამეც შეგი-
ძლა, ჩვენ ვაინტერესებს თქვენი ხელობა, ნუ
თუ არასოდეს არავერთ არ ვაგიკოთებია შენი
ხელმოთო? ერთხელ წვიმა ჩამოვიდოდა და საზუ-
რავი შეეცემოთ-უპასუხა ტერტერამ. ჩვენ ამ
და ამ კოლხოზში სწორეთ ასეთი კაცი დგჭირდე
ბაო და სხვა მგზავრებთან ერთად ისიც გაგზა-
ვნეს.

მუშაობა მეტად მძიმე და ძნელ პირობებში გვიხდებოდა. ბინა უკარგრისი, (კანტინი) საჭმელ-სასმელი არა საქმარისი. ყოველიც ამის გამო ახალგაზრდობის ურთმა ჯვეფის დიდი უქმაყოფილება გამოსთქვა ასეთ მოძყრობაზე, რასაც შედეგათ მოყვა ის, რომ ისინი ჩვენ მეტად აღარ გვინახავთ.

როცა დროი გავიდა და დავუახლოვდით მოსახლეობის, შესაძლებელი შეიქნა მათთან პირადი მუსაიფი. იმათ გამოისიავეს დიდი გაცვირვება ჩვენი ჩამოსახლის გამო. ჩვენ მაზე ვოცნებობთ თუ როთას შეგვეძლება აქედან წასვლა და თქვენ კი აქ მოიდითო. ცავი შექვედრის მიზეზი, თურმე, ის იყო, რომ რაკი ჩვენ ოფიციალურ პირებთან ერთად მივერდით ევონაზა მათ აღვილებს დავიყავებოთ. მარა როცა დაინახეს თუ რა უდი პირობებში ჩაცვეტვილით-უფრო დაგვიასლოვდება, უფრო ნიკობით მოგვეცყრენ და სხვადასხვა რჩევათა შორის ისიც გვირჩიეს, რომ ახლა წყნარით იყვათ, თქვენ როგორც გვტყობათ მიჩვევული ხარით თავისუფალ ცხოვერებას, აქ კი ეს არ გამოვადგებათ, პროტესტებზე თავი შეიკავეთ, რომ თქვენც ის ურ მოგზაუდეთ, რაც თქვენს ახალგაზრდობას მოუფიდათო. ძველ ჩასულ სომხებზე მითხრეს—ჩამოიდრენ კი, ზოგი რესერვში წავიდა, ზოგი კიდევ სადაც; ზოგის გვარები კი სასაფლაოზე წავიკითხეთ, ასე რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გნახეთ.

ის ადგილი საღაც მე ჩემი ჩამიდენიმე ამხანავით გაგვაგებინებს იყო ახლოს ოსმალეთის საზღვაორთან. გაგვაფრთხილებს რომ საზღვაორი ახლოი, და თაორების სომხებისადმი განწყობილება თქვენ კარგათ ციით და თუ ვინმე მიუსხლოვდა საზღვაორი სოფოცოლებს მოუსპობენო. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც გადასცემით გამოქვევა, მეტადმც გაგვიაიღო, მოყველის გადავრჩით, ჩაგდარით თაორების და განუცხადეთ, რომ ჩვენ თაორები ვართ, ყველა ჩვენგანი სრულიად თავისუფლად ვლაპარაკობთ თაორებულის. ასე მოვიქცით მიმოტომ ჩოტ თაორებში უკან არ დაუცემობილი იყო. თაორები დაჭვედნენ ჩვენს ეროვნებზე და ძალიან შეგვავიწროვეს, მარა სანამ შეუგულ ანატოლიაში არ მიგვიყენეს-ვერ გავშეიდეთ ჩვენი ვინაობის გამომუღანება. აქ კი კარგათ მოგვეცყრენ, მოგვცენ საშალებას სირიაში წასვლის და გვითხრეს-ჩასც ჩვენ აქ გვიმზეთ, იქ თქვენებს გადასცითო. ერთი ჩვენგანი ძალიან ჩარიობდა სირიაში ჩასვლის, ჩაცვან მისი ნათე-საცემი პირებიდენ საბჭოთა სომხეთში წასელას

და უნდობლა ჩაესწირო მათთვის. საბერძნებრივი უკანასკნელი უკანებლათ და დროზე ჩაევდიო სირიაში...

**

ჩრონიკა

ქართულ კოლონიაში.

პირველ თებერვალს შესდგა ქართულ კოლონიის მოინიგი კრება, გამცემის თავმჯდომარე ბ. შ. სკანკოჩაშვილმა კრებას გააცნო ინფორმაციის სახით გამცემის შემაობა და დასვა გადასაწყვეტათ ლევილის სასაფლაოს მოწყობის საკითხი, რომელსაც სჭირდება დიდითანხმა მიწის შესაძლებათ და კედლის გასაკეთებლათ. კრება თანაგრძნობით შეხვდა დასმულ საკითხს და კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი დაცუენილება: 1. პარიზის ქართული კოლონია დღეიდან ლევილის ქართულ სასაფლაოს აყენებს თავის მფარველობის და მზრუნველობის ქვეშ. 2. ავალებს გამცემის ქ-ნ ნ. გოგუაძისას ერთათ, როგორც ამ საქმის ინციდენტთან, შეიმუშაოს საჭირო ზომები საქმის დასამთავრებლათ. 3. კოლონია აღუთქვამს მათ ამ საქმეში ყოველ-გვარ დახმარებას*).

* რედაქციისგან: რედაქტორმა მიიღო ქ-ნ ნ. გოგუაძისაგან სია იმ პირთა, რომელთაც გაიღეს თავის წელილი ლევილის სასაფლაოს მოსაწყობათ. სია დაიტეჭდება შემდეგ ნომერში.

მშობელთა კომიტეტი

1946 წ. 18 მაისს, შესდგა ქართველ მშობელთა კრება, საღაც ბ. ლ. ფალავაშ გაკეთა მოხსენება მშობელთა წრის დაარსების საჭიროებაზე და წარმოადგინა გეგმა მიზნებისა და მუშაობისა. კრება დიდის კმაყოფილებით შეხვდა ამ მოხსენებას, დაარსა წრე და აირჩის გამცემისა. თავმჯდომარე—ლ. ფალავა, წევრები—შ. ნიკოლაძე, მ. მაკარაშვილი, ქ-ნი ლ. ნაციურაშვილი და ქ-ნი თ. თაყაიშვილი. გამცემისა დიდის ხალისთ და ენერგიის შეუდგა მშემბას და პირველ ყოვლისა დაარსა ქართული სკოლა. პირველი თანხა ამ დიდი ქართული საქმისათვის გაიღო დიდით პატივცემულმა კოლონიის თავმჯდომარე ბ. შ. სკანკოჩაშვილმა. მოწვეული იქნა ენერგიის მასწავლებლები: ბ. დ. ურატაძე, (ენა და ლიტერატურა) ბ. გ. ჯაბა

დარი (ისტორია, გეოგრაფია) და ბ. შ. აბაშიძე (ცეკვა მხედარისხევა კუთხის) რომლებმაც სრულდად უსასიყდლოთ იმდეს თავზე ეს დიდი საპასუხისმგებლო საქმე. ერთი წლის შემდეგ მათმა უსანგარო და ენერგიულმა მუშაობამ უმშევრიერესი ნაყოფი გამოიღო. ქართველი მოზარდი თაობა ერთმხრის დაუახლოვდა. შეიძინებულება ქართული დედამიწა, გაეცნენ ქართულ ლიტერატურას. საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას, შეისწავლება ქართული ცეკვა-თამაში და სხვა.

25 დეკემბერს 1946 წ. გამართული იქნა შობის ხე. ბავშვებმა წაიკითხეს ჩეენი დოდი პოეტების ლექსიკი; შესრულებული იქნა ჩეენი ქვეყნის სხვადასხევა კუთხის ეროვნული ცეკვები. 20 ივნის 1947 წ. ქართულმა სკოლამ გამართა თავის პირველი სალიტერატურო დილა. ი. ჭავჭავაძის „შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა შორის“. დ. კედიაშვილი იყვნენ: გ. შულაძე და რ. ნიკოლაძე. იმავე დღეს ნ ბარათა შვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება გაავტო გ. შარაშიძემ. ოპონენტებათ გამოვიდნენ: ე. ფალავა და რ. ნაციურაშვილი. დანარჩენმა ბავშვებმა წილითხა ამავე პოეტების ლექსიკი. კრიბამ რომელზედაც საზოგადოებამ მოისმინა მათი წლიური. მუშაობის ანგარიში ცდიდების მაღლობა გამოუტარდა მათ აცე კარგათ საქმის წამოწყებისთვის და აირჩია ახალი ცამენა; თავმჯდომარე ბ. ე. პატარიძე, წევრები: ქ-ნი ვ. კიდია, ქ-ნი მ. სტურუა, ბ. ჩხერკელი და გ. ყიფიანი. ახალი გამეცემა შეუდგა დაწყებული საქმის გაგრძელებას. 1947 წ. 26 დეკემბერს მოაწყო შობის ხე, რომელიც მშვენიერებათ ჩატარდა. ქართველ მშობელთა კომიტეტი უდილეს მადლობას უცხადებს ყველა იმ თანამემსმულებებს რომლებმაც დასხმარება გაუწია შობის ხის მოწყობისა და ჩატარების სქემიში.

კომიტეტი მოუწოდებს ქართველ მშობელებს, თავისი შეიღები მისტემატიურათ დასწრიონ ქართული ხნის გაფეხეთლებს.

ქართველ მწერალთა კავშირი.

პარიზი, კერძო თაოსნობით, ახალი წესდებით, აღდგენილი იქნა ქართველ ემიგრანტ მწერალთა და უურნალისტთა კავშირი. კავშირმა თავის დაფუძნებულ კრებებზე აირჩია გამგეობა: თავმჯდომარე-რ. არსენიძე, თავმჯდომარის ამხანაგი-გრ. ურატაძე, წევრები: ნ ყურულაშვილი (მდიდარი)

და გ. ყიფიანი. (მოლარე). გამგეობამ თავის საჯარო გამოსკვლა მოახდინა გახაზე მეფის გარდაცვალების 200 წლის თავის აღნიშვნით, რის შესახებ გრუელი მოხსენება წაიკითხა ბ. არსენიძემ. ამის შემდეგ გამგეობა შეუდგა სისტემატიური მოხსენებების გამართვის. დღემდე მისი თაოსნობით მოეწყო შემდეგი მოხსენებები: ბ. კოსტელი (ახალი ემიგრანტი) — „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“. ბ. კ. გვარჯალაძე — „საქართველოს პილიტერეტორია მიღოციმარეობა“. ბ. გრ. ურბატაძე (ორ სტრომაზე) — „საქართველოს სამეცნის უკანასკნელი ხანა და მისი შეერთება რუსეთთან“. ალ. ყაზბეგის 50 წ. თავი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღოს ქ-მა ელ. მაშულაშვილმა. ბ. ბ. რ; არსენიძემ, ბ. სარჯველაძემ, ე. ყურულაშვილმა; გ. წერეთელმა (ახალი ემიგრანტი) და გ. ყიფიანი წაიკითხეს ყაზბეგის ლექსიკი.

ყველა მოხსენებების შემდეგ ფარდა საირშიალო დღეებისა, იმართებოდა აზროთ გამოცვლა, რომელშიდაც დამსწრები მხელერვალები მონაწილეობას იღებდენ...

6. უორდანიას იუბილე.

29 იანვარს მისი მეგობრების თაოსნობით გაიმსართა ბანკეტი ნ. ეორდანიას 80 წლის აღსანიშნავათ. ბანკეტის მეთაურობიდა ბენი აკ. ჩხერეკელი. იუბილარის პატივ საცემლათ სიტყვები წარმოისავეს: ბ. ბ. ევ. გეგენვილომა, ვ. ინწური რველმა, ფ. გარაშემ, ვ. ხომელიკმა, ვ. ჩუბინიძემ, ფ. გრიგორიაშვილმა, გ. ყიფანმა და გ. ერაძემ. წაიკითხული იქნა მოლოცვის წერილები და ცეკვები. იუბილარიმა დამსწრები მიმართა სამადლობელი სიტყვით.

თუბერკულიოზთა დამხმარე კომიტეტი.

განაახლა თავის მოქმედება ტუბ. დამხმარე პარიზის კომიტეტიმა. კომიტეტი ახლო მომავავალში მართავს საქვეულმოქმედო სალამის.

ქართული სპორტიული საზოგადოება „შავარდენი“

პარიზი ასაკმობის სპორტიული საზ. „შავარდენი“, რომელსაც აქცის-თავის სტადიონი. ხალჯების დასაუბრავით საზოგადოება მართავს ახლო მომავლში სალამის.

სანდრო ქუთათელაძის გარდაცვალება

17 თებერვალს, დოლით, გულის ავათმყოფობით პარიზში გარდაიცვალა სან. ქუთათელაძე. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

შესილები რედაციის მიმართ

დ. პ. ბატონი რედაქტორი!

I

პარიზში მყოფ ქართველ ქალთა კომიტეტი გთხოვთ საშვალება მოგვიცით ოქვენი გაზეთის საშვალებით, კაცნობით საფრანგეთში მყოფ ქართველობას, ჩვენი მუშაობის მედეგების:

1947 წლის განმავლობაში კომიტეტმა გამარტა სამი სალამან-ნატიმი, რომელს საერთო შემოსავალი იყო: 256228 ფრ. ხარჯები კი: 119792 ფრ. შემინდა შემოსავალი დარჩეა 135536 ფრ. ამ თანხმოვან 10000 ფრ. გადაცემული იქნა ლევი-გილის სასაფლაოს მოწყობისათვის; 5317 ფრ. ქართული კოლონიის გამგეობას, დანარჩენი ე. ი. 121219 ფრ. დაურიგდა ქართველ ბავშვებს, ავადმყოფებს, მოხუცებულებს და უსახსროდ დარჩენილთ. დახმარებულთა სრული სის და დაწვრილებით ანგარიშები ინახება ქალთა კომიტეტში, რომლის გაცნობა ყველა დაინტერესებულ პირთ თავისუფლად შეუძლიათ.

ქალთა კომიტეტი ულრმეს მაღლობას სწორად ყველა იმათ: „ვინც გულუხვობა გამოიჩინა და დახმარება გაგვიწის, ამავე დროს იმუდის გამოვთქვათ, რომ მომავალშიდაც საშვალება მოგვიცება გაშეიცის ჩელინი ხავარღნილ თანამემამულეთ დამხმარე ხელი გაუწოდოთ.“

პატივისცემით პარიზში მყოფ ქართველი კომიტეტის თავმჯდომარე: ე. დადანის ასული. 9, Avenue Constant Coquelin, 9, Paris VII.

II

ნება მიბოძეთ ოქვენი გაზეთის საშვალებით, ზალცბურგელ 21 ქართველის სახელით ულრმესი მაღლობა გამოიუჩადო ნიუ—იორკის ქართულ ასოციაციას „კ. ა. რ. ე.“—ს სასურსათო ამანათებით დახმარებისათვის.

ერ. რამიშვილი.

ზალცბურგი.

გაზეთის ფონდი

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქტორი გულითად მაღლობას უძლენის ქედმოთ ჩამოთვლილ პირებს, რომლებმაც გაგვიწიეს ნივთიერი დახმარება და შით გაზეთის გამოცემის საშვალება მოგვცეს.

ხუთ-ხუთი ათასი: — უცნობი, შ. შავლაყაძე, ის. ელიგულაშვილი; ათას-ათასი: — ვ. გოგუაძე, ს. გველიძე, მ. გაბელაშვილი, ამერიკელი, ალფა; ხუთას-ხუთასი: ქ. იმნაიშვილი, მ. ცაგარელი, ვ. ახლოელიანი, შ. ბერეჟიანი, გ. უორდანია, შ. გომირგაძე, ელ. პატურიძე, ის. ქაჩიშვილი, ლ. ბესელია, მ. ჩუბინიძე; სამას - სამასი: ტ. წულაძე, ი. კვაჭაშვილი; აკ. ასათოვნი; ორასორისი: ვ. ინტკორველი, უ. გრიგორაშვილი, ლ. ფალავა, მ. ჭითარაძე, გ. შანშიაშვილი; ვ. ტულუშიძე; ასორმისულათი: ვ. ჭელიძე; ას - ასი: ნ. ურუშაძე, ნ. მამულაიშვილი, დ. ხ. სულ — 27000 ფრ.

რედაქტორის იმედი აქვს რომ თანამემამულენი შემდეგშიაც არ მოაკლებენ თავის დახმარებას და მით საშვალებას მოგვცემენ განვაგრძოთ გაზეთის გამოცემა.

რედაციის საბაზო

გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“-ს რედაქტორი სთხოვს თავის თანამემამულეთ, ვისაც აინტერესებს ქართული ბეჭედითი სიტყვის არსებობა-გაუწიოს მას იდეური და ნივთიერი დახმარება, აგრეთვე ხელი შეუწყოს გაზეთის გავრცელებას.

დასაბეჭდი მასალა და ფული უწინდედა გამოიგზავნის შემდეგი მისამართით:

Mr Ouradzé,
44, Bd Port-Royal, 44, Paris (5).

უძლებელი გამო გადაიღო შემდეგი ნომრისთვის რამოდინიმე უკვე აწყობილი წერილი.

ქართული ლექსიკონი

იბეჭედება და მალე გამოვა შ. სკანკოჩიშვილის და მ. მელოუას მიერ შედგენილი

„ქართული ლექსიკონი“

რადგანაც წიგნი განსაზღვრული რაოდენობით იბეჭედება — სასურველია მისი წინდაწინ დაკვირთა. დაკვეთა შეიძლება გაზეთ „ჩვენი ქვეყანა“-ს მისამართით.